ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1931 წლის დეკემბრის 31.	№ 24 ვანყოფილება პირველი	ა/კსფსრ სახალ. კომისართა საბჭოს საკმთა მმართველობის მიერ გამოცემული.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

მუხ. 256. ქ. ტფილისში ოთხი სარაიონო საბჭოს მოწყობის შესახებ.
„ 257. 1932 წლის სასილოსო კამპანიის უზრუნველყოფისა და 1931 წელს დამზადებული სასილოსო მასსის გამოყენების ღონისძიებათა შესახებ.

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისარიატ საბჭოსი.

„ 258. ავტო-მოტო-ტრანსპორტის აღნუსხვის შესახებ.
„ 259. 1932 წელს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის შრომის ბალანსების წარდგენის ვადების შეცვლის შესახებ.
„ 260. ა/კსფსრ-ში 1932 წლისთვის ხელშეკრულებათა დადების შესახებ.
„ 261. სიექსპორტო ხეტყის დატვირთვაზე პორტებში მოსაკმე მუშებისათვის შეღავათების მინიჭების შესახებ.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

256. ქ. ტფილისში ოთხი სარაიონო საბჭოს მოწყობის შესახებ.

მოისმინა-რა ტფილისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის ამხ. მიჩაიძის მოხსენება—ქ. ტფილისში სარაიონო საბჭოების ორგანიზაციის მსვლელობის შესახებ,—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავს:

I. ქ. ტფილისის ტერიტორიაზე სარაიონო საბჭოების ორგანიზაცია,—რასაც მიზნად აქვს მმართველობის აპარატის მშრომელთა მასსებისათვის დაახ-

ლობა და მმართველობის საქმეში რაც შეიძლება მეტი მასსების ჩაბმა, რათა სოციალისტური მშენებლობის თვითეული ნაწილი უზრუნველყოფილ იქნეს კონკრეტული და ოპერატიული ხელმძღვანელობით,—უაღრესი პოლიტიკური მნიშვნელობის რეფორმაა, რამაც უნდა გამოიწვიოს ტფილისის საქალაქო საბჭოს მთელი მუშაობის ძირითადი გარდაქმნა.

II. მაგრამ ეს უაღრესი პოლიტიკური რეფორმა სათანადოდ ვერ იქნა შეფასებული საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა, ცალკეული სახალხო კომისარიატებისა და ბეჭდვითი სიტყვის ორგანოების მიერ და იგი ჩატარებულ იქნა ვიწრო-უწყებითი ხაზით; არ იყო განხორციელებული მასსების შემოქმედებითი აქტიობის მობილიზაცია სამრეწველო-საფინანსო გეგმის აღსრულების პრაქტიკულ ღონისძიებათა გარშემო და საქალაქო მეურნეობის საკითხების უკეთესად გადაწყვეტისათვის; საქმისადმი ასეთმა მოპყრობამ გამოიწვია მთელი რიგი დეფექტები, რომელთა შორისაც ძირითადი შემდეგია:

ა) სარაიონო საბჭოების მოწყობა სწარმოებდა სხვა ქალაქების, კერძოდ ა/კსფსრ-ში ქ. ბაკოს, სარაიონო საბჭოების მუშაობის პრაქტიკისა და გამოცდილების წინასწარ შეუსწავლელად;

ბ) ამ რეფორმის ჩატარებას წინ არ უძღოდა ფართოდ გაწლილი მასსური განმარტებითი კამპანია, რასაც უნდა უზრუნველეყო სარაიონო საბჭოების როლისა და მნიშვნელობის ამაღლება სარეკონსტრუქციო პერიოდის მოთხოვნათა დონეზედ;

გ) სარაიონო საბჭოების ორგანიზაცია და ტფილისის საქალაქო საბჭოს მუშაობის გარდაქმნა დაკავშირებული არ იყო ამხ. სტალინის ექსი დირექტივის საფუძველზე დამყარებული თვითშემოწმების მსვლელობასთან;

დ) თუმცა სარაიონო საბჭოები ორგანიზაციულად ჩამოყალიბდენ 25—27 ოქტომბრის პერიოდის განმავლობაში, მაინც ისინი ფაქტიურად არავითარ მუშაობას არ აწარმოებენ, აქამდე მათ სადგომები არ მიეცათ და დამოუკიდებელი ბიუჯეტები არ აქვთ;

ე) საერთო-საქალაქო საბჭოს ზოგიერთ განყოფილებაში შტატი გადიდებულია, თუმცა მთელი რიგი ოპერატიული ფუნქციები სარაიონო განყოფილებებს გადაეცა (კომუნალური მეურნეობის შტატი გადიდებულია 41 სშტატო ერთეულით);

ვ) შესწავლილი და დამუშავებული არ არის საკითხი წარმომადგენლობის ნორმებისა საერთო-საქალაქო და სარაიონო საბჭოებში; სარაიონო საბჭოების არჩევნების ჩატარებამ საერთო-საქალაქო საარჩევნო მეთოდით გამოიწვია საარჩევნო მეტრის ერთი-ორად შემცირება და ასეთივე გადიდება ამომრჩეველთა რიცხვისა ქ. ტფილისისათვის მოლიანად.

აღნიშნავს-რა ზემოდ ჩამოთვლილ ძირითად ნაკლოვანებათა, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს:

ა) შეიმუშაოს ერთი დეკადის ვადაზე სარაიონო საბჭოების მუშაობის ძირითადი დებულებანი, რითაც გარკვევით განსაზღვროს სარაიონო საბჭოებისა და საქალაქო საბჭოს ფუნქციები და მათი ურთიერთი დამოკიდებულება ა/კსფსრ-ის საქალაქო საბჭოების ძირითად დებულებათა შესაბამისად (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. მე-4 №-ი, მუხ. 45); შეისწავლოს სარაიონო საბჭოებისათვის მიღებული საარჩევნო მტერის მიზანშეწონილობის საკითხი;

ბ) უზრუნველჰყოს სამუდამდღეო პრაქტიკული დახმარება ტფილისის საბჭოს მთელი მუშაობის გარდაქმნის განხორციელების საქმეში, რაც გამომდინარეობს სარაიონო საბჭოების ორგანიზაციიდან, და იქონიოს კონტროლი, რათა მთლად საბჭოს მუშაობის გარდაქმნა მიმდინარეობდეს ამჰ. სტალინის ექვსი დირეკტივის საფუძველზე დამყარებული თვითშემოწმების მსვლელობის მიხედვით;

გ) იხმაროს ღონისძიება სარაიონო საბჭოების სათანადო სადგომებით უზრუნველსაყოფად არა უგვიანეს 1932 იანვრის 10-სა;

დ) ტფილისის საბჭომ და სარაიონო საბჭოებმა თავიანთი შემდგომი მუშაობით უნდა ორგანიზაციულად უზრუნველჰყონ რაც შეიძლება მეტი მასსების ჩაბმა საბჭოების მუშაობაში და საუკეთესო მუდმივი კავშირი ყველა საწარმოსთან, რისთვისაც: ა) უნდა მოახდინონ სექციების მუშაობის დიფერენცირება—მათი ქსელის გაფართოებით და ჯგუფური და ბრიგადული მუშაობის მეთოდზე გადაყვანით; ბ) უნდა შექმნან ყველა საწარმოში დეპუტატთა ჯგუფები; გ) უნდა აწარმოონ სისტემატიური მუშაობა სპეციალური კურსების მეშვეობით საბჭოთა აქტივის კადრების აღზრდისათვის საუკეთესო დამკვრელთაგან; დ) უნდა დაამყარონ ტფილისის საბჭოს და სარაიონო საბჭოების წევრთა სამუდამდღეო კავშირი ყველა საწარმოსთან და სოციალურ-კულტურულ დაწესებულებებთან; ე) უნდა ჰმართონ პერიოდულად ტფილისის საბჭოს, სარაიონო საბჭოებისა და მათი ორგანოების სხდომები ამა თუ იმ საწარმოში.

II. წინადადება მიეცეს ტფილისის საბჭოს—ჩატაროს ფართო განმარტებითი კამპანია—განხორციელებული რეფორმისა და მუშაობის შემდგომი გარდაქმნის თაობაზე—და უზრუნველჰყოს, ყველა საწარმოსა და დაწესებულებასთან არსებული დეპუტატთა ჯგუფების მეშვეობით, მუშა ჭლასისა და მშრომელთა მასსების ყურადღების მობილიზაცია ამ საგნის გარშემო.

III. წინადადება მიეცეს ბეჭდვითი სიტყვის რესპუბლიკანურ და სამხარეო ორგანოებს—ფართოდ გააშუქონ ტფილისის საბჭოს მუშაობის გარდაქმნის მსვლელობისა და განხორციელებული რეფორმის მნიშვნელობის საკითხები.

IV. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებას—მოისმინოს 1932 წ. თებერვალში ტფილისის საბჭოს მოხსენება საერთო-საქალაქო საბჭოს მუშაობის შემდგომი გარდაქმნის შედეგების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. **მახარაძე.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივნი **გ. სულთანოვი.**

1931 წ. დეკემბრის 22.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 345 №-ში 1931 წ. დეკემბრის 28-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

257. **1932 წლის სასილოსო კამპანიის უზრუნველყოფისა და 1931 წელს დამზადებული სასილოსო მასსის გამოყენების ღონისძიებათა შესახებ.**

მოისმინა-რა ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მოხსენება—დასილოსებისა და სასილოსო მშენებლობის 1931 წლის გეგმის შესრულების შესახებ,—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ თუმცა ცალკეულმა რაიონებმა სასილოსო მშენებლობისა და დასილოსების დასახული გეგმა მთლად და ზოგან-კი გადამეტებითაც შეასრულეს, მაინც მთლიანად ა/კსფსრ-ში სასილოსო კამპანიის 1931 წ. გეგმა 1931 წ. დეკემბრის 20-თვის შესრულებულია მხოლოდ 25,7%-ით; განსაკუთრებით ჩამორჩნენ აზერბაიჯანი და საქართველო (11,3% და 21,1%-ი) და სამარცხვინოდ ჩაშალეს სასილოსო მუშაობა საბჭოთა მეცხოველეობის მეურნეობებმა: „მასლოტრესტ“-მა (ყოფ. „სკოტოვოდ“-მა) სასილოსო მშენებლობა ჩაატარა 19,3%-ით, სასილოსო მასსის ჩაყრა—14%-ით; „ოვცევოდ“-მა—მშენებლობა და მასსის ჩაყრა 30%-ით თითოეული; „სვინოვოდ“-მა—მშენებლობა 37%-ით, ჩაყრა—32%-ით; „ზაკქევკოოპხოზ“-მა—მშენებლობა 25,1%-ით, ჩაყრა—17,5%-ით; „მოლოკოპროდუქტ“-მა (ლენინაკანის „სახკომბინატ“-მა)—მშენებლობა 41%-ით, ჩაყრა—27%-ით.

ეს გარღვეულობა შედეგია სასილოსო კამპანიის მემარჯვენე-ოპორტუნისტული შეუფასებლობისა, რის გამოც დასილოსების მუშაობა თვითდენაზე იყო მინებრებული და თავიდან ბოლომდე გაუპიროვნებული; იგი უზრუნველყოფილი არ იყო სათანადო კადრებით და საჭირო საშენი მასალით; არ არსებობდა საკვლევო მუშაობა სასილოსო მშენებლობის ადგილობრივი პირობებისათვის შესაგუებლად; არ არსებობდა აგრეთვე დასილოსების საკითხების მასსური ლიტერატურა და პრესსა საკმარის ყურადღებას არ აქცევდა ამ საკითხებს.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ რესპუბლიკანური სამეურნეობის უმოქმედობისა და ამიერკავკასიის სასილოსო სამეურნეობის სუსტი მუშაობის გამო პრეზიდიუმის 1931 წ. ოქტომბრის 28-ის დადგენილებამ „სასილოსო კამპანიის გარღვეულობათა ლიკვიდაციის შესახებ“ ვერ გამოიწვია სათანადო გარდატეხა სასილოსო მუშაობაში.

ამ ნაკლთა გამოსწორებისა და 1931 წელს დამზადებული სასილოსო მასსის სავსებით გამოყენების მიზნით ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. ყველა სასილოსო სამეურნეო დაშლილ იქნეს. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—გამოჰყოს ათი დღის ვადაზე რესპუბლიკების ყველა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში, სარაიონო საადგილმამულო განყოფილებაში და როგორც რესპუბლიკანური, ისე საერთო საკავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შირო მნიშვნელობის ყველა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციაში სპეციალური მომუშავენი, რომელნიც პერსონალურად პასუხისმგებელნი იქნებიან სასილოსო მასსის სათანადო გამოყენებისათვის და 1932 წლის დასილოსებისა და სასილოსო მშენებლობის გეგმის შედგენისათვის. ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისათვის გეგმების წარდგენის ვადად განისაზღვროს 1932 წ. იანვრის 10.

2. ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა უნდა უზრუნველჰყოს 1932 წლისთვის დასახული სასილოსო კამპანიის გეგმების რაიონებამდე, საბჭოთა მეურნეობებამდე და კოლეკტიურ მეურნეობებამდე მიწვდევინება 1932 წ. იანვრის 15-თვის—ისეთი ვარაუდით, რომ გეგმები განხილულ და გაზუსტებულ იქნეს ადგილებზე ადგილობრივი პირობებისა და ადგილობრივი საშენი მასალის გამოყენების შესაძლებლობის მიხედვით; ამ განხილვის საფუძველზე სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა უნდა შეადგინონ საჭირო ადგილობრივი საშენი მასალის დამზადების გეგმები და წარადგინონ განცხადებანი გარედან შემოსატანი მასალის შესახებ.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—უზრუნველჰყონ რესპუბლიკანური სასოფლო-სამეურნეო სამშენებლო ტრესტების სისტემაში „სილოსოსტროი"-ს სრულიად საკავშირო სახელმწიფო კონტორის განყოფილებების ან რწმუნებულთა კონტორების შექმნა საბჭოთა მეურნეობების სისტემის სასილოსო მშენებლობისათვის დახმარებისა და ხელმძღვანელობის გასაწევად.

4. წინადადება მიეცეს ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრს—უზრუნველჰყოს საკოლმეურნეო სისტემის სასილოსო მშენებლობა კონსულტაციით და ტენნიკური დახმარებით ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საკოლმეურნეო ცენტრებთან არსებული „ტენნიკური დახმარების" ბიუროების მეშვეობით.

5. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის ზოოტენნიკურ ინსტიტუტს—შეიმუშაოს 1932 წ. იანვრის 10-თვის სათესი კულტურების დარაიონება სასილოსოდ 1932 წლისთვის და გამოარკვიოს, ცალკეულ რაიონებთან შეფარდებით, ის კულტურები, რაც უზრუნველჰყოფს მწვანე მასსის მიღებას მთლად დასილოსების პერიოდის განმავლობაში.

6. მიენდოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—მოაწყოს სამეცნიერო-საკვლევო მუშაობა სხვადასხვა რაიონში აგებული ხხვადასხვა ტიპის სასილოსო გოდოლებისა და სასილოსო მასსის მდგომარეობის შესასწავლად.

7. რათა 1932 წელს სასილოსო მუშაობა უზრუნველყოფილ იქნეს საჭირო კადრებით, წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს—გამოიყენონ ზამთრის პერიოდი შემდეგ ღონისძიებათა განსახორციელებლად:

ა) 10 მომუშავის წარვლინება სპეციალურ კურსებზე ცენტრში;

ბ) ორთვიანი კურსების ჩატარება დასილოსებისა და სასილოსო მშენებლობის სარაიონო სპეციალისტების მოსამზადებლად—ისე, რომ საერთოდ მოცულ იქნეს 150 კაცი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) ათდღიანი კურსების ჩატარება რაიონებში სილოსზე მოსაკმე სოფლის მომუშაავეთათვის—ისე, რომ მოცულ იქნეს 3.000 კაცი.

მოსამზადებელ კურსებგავლილი ყველა გამოყენებულ იქნეს მუდმივ სასილოსო მუშაობაზე.

8. ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა უნდა შეიმუშაოს 1932 წ. თებერვლის 1-თვის სასილოსო ნაგებობათა ტიპები სარაიონო ხაზით, ანგარიშში ადგილობრივ არსებული საშენი მასალის მიღებით, და უნდა უზრუნველჰყოს თავის დროზე განცხადებების წარდგენა გარედან შემოსატანი საშენი მასალის ფონდების შესახებ.

9. ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა უნდა გამოსცეს 1932 წ. მარტის 1-თვის ეროვნულ ენებზე სასილოსო მშენებლობის პლაკატები და არა ნაკლებ ორი პოპულიარული ბროშურისა დასილოსებისა და სასილოსო მშენებლობის შესახებ, და უნდა უზრუნველჰყოს ამ ლიტერატურით სოფლისა და რაიონების მომუშაავეთა მოსამზადებელი მასსური კურსები.

10. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—აღძრას ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის სრულიად საკავშირო საკავშირო ინსტიტუტის წინაშე საკითხი—ამიერკავკასიის მეცხოველეობის ინსტიტუტის საკავშირო განყოფილების ბაზისზე საკავშირო ინსტიტუტის ამიერკავკასიის ფილიალის გახსნის დაჩქარების შესახებ. ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა უნდა მოაგვაროს სსრკ-ის ბიუჯეტით 1932 წ. ხარჯთაღრიცხვაში ფილიალის შესანახი ხარჯის შეტანა.

11. დამტკიცებულ იქნეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ წამოდგენილი იმ კანდიდატთა სია, რომელნიც დაპრემირებულ უნდა იქნენ დასილოსებისა და სასილოსო მშენებლობის სფერაში საუკეთესო შუშაობისათვის; წინადადება მიეცეს მას—შეამოწმოს ორი კვირის ვადაზე რაიონებში ცნობები ადგილობრივ, რის შემდეგაც გასცეს პრემიები.

12. რათა დამზადებული სასილოსო მასსა სავსებით იქნეს გამოყენებული, წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რეპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—დაავალონ მესაქონლეობის მეურნეობათა და დამზადებული სასილოსო მასსის მქონე სასოფლო საბჭოებს—გამოჰყონ ათი დღის ვადაზე სპეციალური სასილოსო ჯგუფები ან ბრიგადები სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირების შედგენილობით და დაავალონ მათ სილოსის წესიერი გამოყენება და 1932 წ. სასილოსო კამპანიისათვის მომზადება; ყველა რაიონში, 1932 წ. იანვრის 1-სა და 10-ს შუა, მოწყობილ იქნეს 3 და 5-დღიანი კურსები სოფლის აქტივისათვის ინსტრუქტირების გასაწევად—როგორ უნდა გაიხსნას სასილოსო ორმოები და როგორ უნდა იკვებებოდეს საქონელი სილოსით; დაივალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს—უზრუნველჰყონ რაიონები სათანადო ლექტორთა ძალებით.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივნი **გ. სულთანოვი.**

1931 წ. დეკემბრის 25.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

258. ავტო-მოტო-ტრანსპორტის აღნუსხვის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ავტო-მოტო-მანქანების აღნუსხვა და სანომრო ნიშნების გაცემა ა/კსფსრ ტერიტორიის ფარგლებში დაეკისროს შემდეგ ორგანოებს:

ა) იმ ქალაქებში, რომლებიც ცენტრებია ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებისა, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქებისა,—გზატკეცილებისა, უამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სათანადო სამმართველოებს (ან განყოფილებებს);

ბ) იმ ქალაქებში, რომლებიც გამოყოფილ არიან დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად და რესპუბლიკების ცენტრები არ არიან (პუნ. ა),—სათანადო საქალაქო საბჭოების კომუნალური მეურნეობის განყოფილებებს;

გ) იმ რაიონებში, რომელთა ტერიტორიაზედაც საგზაო სახაზო უბნების კონტორებია,—ამ კონტორებს ან სარაიონო ავტო-ინსპექტორებს, ხოლო სხვა ადგილებში—საგზაო მშენებლობის სარაიონო ორგანოებს (საგზაო მშენებლობის ინსპექტორებს, საგზაო ტეხნიკოსებს და სხვ.).

2. ამა დადგენილების 1-ლი მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტებში აღნიშნული ორგანოები ავტო-მოტო-ტრანსპორტის აღნუსხვის მხრით ექვემდებარებიან გზატკეცილებისა, უამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სათანადო სამმართველოების დირექტივებსა და ხელმძღვანელობას.

3. დაეკალოს ყველა იმ დაწესებულებას, საწარმოს და ორგანიზაციას, აგრეთვე კერძო პირს, რომლის გამგებლობაშიაც ავტო-მოტო-მანქანებია, წარუდგინონ ხოლმე აღნუსხვისათვის საჭირო ცნობები და ცნობები ამ მანქანების ტეხნიკური მდგომარეობის შესახებ ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ ორგანოებს იმ წესებისა და ვადების მიხედვით, რაც შდადგენილ იქნება გზატკეცილებისა, უამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სრულიად საკავშირო ცენტრალური სამმართველოს ინსტრუქციით და ა/კსფსრ გზატკეცილებისა, უამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს სავალდებულო დადგენილებით.

4. ავტო-მოტო-მანქანების საააღნუსხვოდ დადგენილი წესების დარღვევისათვის ის პირნი, ვის გამგებლობაშიაც ავტო-მანქანებია, პასუხს აგებენ საადმინისტრაციო ან სისხლის სამართლის წესით საქმის გარემოებათადაგვარად.

5. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს:

ა) დააარსონ რესპუბლიკანური გზატკეცილებისა, უამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოების შედგენილობაში სარაიონთაშორისო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტო-ინსპექტორების თანამდებობანი ავტო-მოტო-ტრანსპორტის აღნუსხვისათვის ინსტრუქტირებისა და ინსპექტირების გასაწევად და ავტო-მოტო-ტრანსპორტის ტეხნიკური მდგომარეობისათვის და წესიერად გამოყენებისათვის თვალყურის სადევნებლად; საამისო სათანადო ხარჯები შეტანილ უნდა იქნეს რესპუბლიკანურ სახელმწიფო ბიუჯეტებში;

ბ) განახორციელონ ღონისძიებანი, რათა მილიციის ორგანოებმა გააძლიერონ ზედამხედველობა ავტო-მოტო-ტრანსპორტის მოძრაობის წესების დაცვისათვის, კერძოდ—სათანადო სანომრო ნიშნის ქონისათვის;

გ) შეიტანონ რესპუბლიკანურ კანონმდებლობაში ამა დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილება.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1931 წ. სექტემბრის 16.

№ 431.

ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

259. 1932 წელს სახალხო მეურნეობის შრომის ბალანსების წარდგენის ვადების შეცვლის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. „1932 წელს მუშა-ძალით სახალხო მეურნეობის მომარაგების უზრუნველყოფის წესის შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. დეკემბრის 1-ის დადგენილების შესაცვლელად („ზარია ვოსტოკა“-ს 327 №-ი 1931 წ. დეკემბრის 6-სა) დაევალოს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას და ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს—წარმოადგინონ 1932 წ. ა/კსფსრ-ში საჭირო მუშა-ძალის ჯუმლობითი ბალანსი არა უგვიანეს 1932 წ. მარტის 15-სა.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას და ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს—ამა დადგენილების 1-ლი მუხლის შესაბამისად, განსაზღვრონ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საწარმოთა, საბჭოთა მეურნეობებისა, დაწესებულებებისა, უწყებებისა, სახელმწიფო საგეგმო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისიებისა და შრომის სახალხო კომისარიატებისათვის შრომის ბალანსების შედგენის ვადები.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოვალ. აღმსრ. **ს. ფირუმოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1931 წ. დეკემბრის 25.
№ 432.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 346 №-ში 1931 წ. დეკემბრის 29-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

260. ა/კსფსრ-ში 1932 წლისთვის ხელშეკრულებათა დადების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ა/კსფსრ-ში 1932 წლისთვის სამეურნეო ორგანიზაციებს შორის გენერალურ ხელშეკრულებათა დადება დამთავრებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს 1932 წლის იანვრის 10-ისა, ხოლო ამ ხელშეკრულებათა საფუძველზე ლოკალური ხელშეკრულებებისა და პირდაპირი ხელშეკრულებების დადება—არა უგვიანეს 1932 წ. იანვრის 20-სა.

2. დაეკალოს სამეურნეო ორეანიზაციებს—გაითვალისწინონ ხელშეკრულებებში ყველა აუცილებელი პირობა, კერძოდ—საქონლისა და პროდუქტების რაოდენობა, ასსორტიმენტი და აგრეთვე თვისება, გაყიდვ-მიწოდების ზედმიწევნითი ვადები, ფასები და ანგარიშგასწორების წესი; თანაც უნდა აღინიშნოს ხელშეკრულების აღუსრულებლობის შედეგი (საურავი, პირგაუტეხელობის ჯარიმა, ზარალის ანაზღაურება).

გენერალური ხელშეკრულებით გათვალისწინებული უნდა იყოს ლოკალური ხელშეკრულების დადების ზედმიწევნითი ვადა და აგრეთვე საურავი და პირგაუტეხელობის ჯარიმა ლოკალური ხელშეკრულების დაუდებლობისა თუ არა თავის დროზე დადებისათვის. საურავს და პირგაუტეხელობის ჯარიმას გადაიხდის ის ორგანიზაცია, რომელიც უშუალო პასუხისმგებელია ლოკალური ხელშეკრულების დაუდებლობის თუ არა თავის დროზე დადებისათვის განსაზღვრულ ვადაზე.

3. გენერალური, ლოკალური და პირდაპირი ხელშეკრულების ცალმხრივი მოშლა და შეცვლა შეიძლება მხოლოდ შემდეგ შემთხვევაში:

ა) ცალკეული უწყების განკარგულებით, უკეთუ ხელშეკრულება დადებულია მის უშუალო ქვემდებარე საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის;

ბ) როდესაც მხარენი თანახმანი არ არიან,—ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს დადგენილებით, უკეთუ ხელშეკრულება დადებულია სხვადასხვა უწყების არა საერთო-საკავშირო მნიშვნელობის საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის და უკეთუ ერთ-ერთი მხარე მაინც საამიერკავკასიო (ფედერატიული) მნიშვნელობის მქონე საწარმოა ან ორგანიზაცია.

4. ხელშეკრულების ყოველგვარი ცვლილება იმ მხარემ, რომელმაც შეიტყო ამის შესახებ მთავრობისა თუ უწყების დადგენილება (მუხ. 3), უნდა აცნობოს მეორე მხარეს დაუყოვნებლივ, დადგენილების მიღებისთანავე.

5. რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის დადებულ ხელშეკრულებების მოშლისა და შეცვლის წესი განისაზღვრება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობით ამა დადგენილებისა და სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. დეკემბრის 17-ის თარიღისა და 1140 №-ის დადგენილების შესაბამისად.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოვალ. აღმსრ. **ს. ფირუმოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მართველი **ა. შავერდოვი.**

1931 წ. დეკემბრის 25.

№ 433.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 346 №-ში 1931 წ. დეკემბრის 29-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

261. საექსპორტო ხეტყის დატვირთვაზე პორტებში მოსაქმე მუშებისათვის შეღავათების მინიჭების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„მუშა-ძალით პორტებში დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა უზრუნველყოფის შესახებ" გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. ნოემბრის 30-ის დადგენილების შესაბამისად, ის შეღავათები, რაც განსაზღვრულია სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. სექტემბრის 21-ის დადგენილებით „ხეტყის დამზადებისა და გამოზიდვის შესახებ" და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. ოქტომბრის 16-ის დადგენილებით—ხე-ტყის დამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზადებაზე და წყლით ჩამოტივტივებაზე მოსაქმე მუშებისათვის („ზარია ვოსტოკა“-ს 294 № 1931 წ. ოქტომბრის 25-სა), გავრცელებულ იქნეს საექსპორტო ხეტყის დატვირთვაზე პორტებში მოსაქმე მუშებზე.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოვ. აღმსრ. **ს. ფირუმოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1931 წ. დეკემბრის 25.
№ 434.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 346 №-ში 1931 წ. დეკემბრის 29-ს.

მთავლ. № 313. საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა. ტირაჟი 1.400